MES 6 23 0000689841

14/06/2023

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

ქ. თბილისი

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

დავით მალაზონია - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
მანანა ჯინჭარაძე - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ინოვაციური განათლების პროგრამის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;
ეკატერინე კვირიკაშვილი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი.
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
პეტრე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
ზვიად გოგუაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
მორის დანდურიშვილი - სსიპ-ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, საბჭოს წევრი;
ნატო გაბოშვილი - შპს საქართველოს უნივერსიტეტის მასწავლებელთა დაკვირვებისა და მენტორინგის პროგრამის მათემატიკის მიმართულების ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
შალვა მეკრავიშვილი - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

გვანცა მეტრეველი-ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
გვანცა ნინიძე-ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს ბათუმის მომავლის სკოლა
ცირა ქასრაძე - სკოლის დირექტორი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერ ტები):

შპს ბათუმის მომავლის სკოლა
ქეთევან ბოტკოველი
ირმა ხუციშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) 17-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა 2023 წლის 31 მაისს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 15:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-17-ე მუხლის მე-5-ე პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20-ე მუხლის მე-7-ე პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგანსაბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. შპს ბათუმის მომავლის სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი და შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. **შპს ბათუმის მომავლის სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ქეთევან ბოტკოველმა და ირმა ხუციშვილმა.
ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა აღნიშნა, რომ დაწესებულებაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 27 და 28 აპრილს. სკოლა მდებარეობდა ქალაქ ბათუმში, ჰაიდარ აბაშიძის ქ.N49-ში. სკოლა განთავსებული იყო 610.00 კვ.მ მიწის ფართობზე არსებულ შენობა-ნაგებობაში, რომლის სრული ფართი 976.4 კვ.მ-ს შეადგენდა. მოსწავლეთა არსებული რაოდენობა ვიზიტის პერიოდში იყო 294, ხოლო ზღვრული რაოდენობა დაწესებულებას ზოგადსაგანმანათლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების კითხვარში მითითებული ჰქონდა 300.
ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა განიხილა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციები, რომელიც გაიცა სკოლის მიმართ, კერძოდ: სკოლას იჯარის ხელშეკრულება გაფორმებული ჰქონდა 2022 წლის 30 ნოემბერს, ვადა კი იწურებოდა 2028 წლის 30 ნოემბერს. ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, წარმოდგენილი ხელშეკრულების თანახმად, სკოლა ვერ დააკმაყოფილებდა განათლების ხარისხის განვითარების შესახებ საქართველოს კანონით (მუხლი 12. გადაწყვეტილება ავტორიზაციის შესახებ), განსაზღვრულ პირობას, რაც გულისხმობდა დაწესებულების საქმიანობის უზრუნველყოფას შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით. ექსპერტის განცხადებით, სკოლამ ვიზიტის პერიოდშივე გაითვალისწინა ექსპერტთა რეკომენდაცია და დაიწყო ხელშეკრულების ვადის გაგრძელების პროცედურები.
ექსპერტმა ისაუბრა სკოლის მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ სკოლაში განთავსებული იყო 22 საკლასო ოთახი, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, რომელიც სრულად იყო საჭირო ინვენტარით აღჭურვილი, ისტ-ის ლაბორატორია, სამასწავლებლო, ექიმის კაბინეტი, ბიბლიოთეკა, სპორტული აქტივობებისთვის საჭირო ღია და დახურული სივრცეები. საკლასო ოთახებში განთავსებული იყო 296 მერხი და სკამი.

ექსპერტმა წარმოადგინა შენობის ინტერიერისა და ექსტერიერის ფოტომასალა, სადაც ჩანდა, რომ დაწესებულებაში სასიამოვნო გარემო იყო შექმნილი და სრულიად აღჭურვილი გახლდათ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის. სკოლას ჰყავდა ექიმიც და ექთანიც, სამედიცინო კაბინეტი კი სრულად იყო აღჭურვილი საჭირო ინვენტარით.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ შენობა, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების მიზნით, აღჭურვილი იყო შესაბამისი საშუალებებით: სახანძრო სამაუწყებლო სირენა, საევაკუაციო მანათობელი მანიშნებლები, ავარიული განათებები და სახანძრო პანელი, თუმცა, სკოლაში დამონტაჟებული არ იყო კვამლის დეტექტორები, რასთან დაკავშირებითაც სკოლას მიეცა შესაბამისი რეკომენდაცია. ექსპერტის განმარტებით, დაწესებულებამ გაითალისწინა აღნიშნული რეკომენდაცია, წარმოადგინა სახანძრო უსაფრთხოების, საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და მათზე რეაგირების მოთხოვნის დარღვევების აღმოფხვრის თაობაზე ზედამხედველობის მიწერილობა, რომლითაც სკოლას მიეცა შესაბამისი რეკომენდაციები. დაწესებულებაში დამტკიცებული იყო სკოლის საგანგებო მართვის გეგმა, რომელიც შესათანხმებლად გადაიგზავნილ იქნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან, თუმცა ვიზიტის პერიოდში სკოლას პასუხი არ ჰქონდა მიღებული.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლას შემუშავებული ჰქონდა უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესის პირობების დოკუმენტი, რომელიც დამტკიცებული გახლდათ შპს ბათუმის მომავლის სკოლის დირექტორის ბრძანებით N01-03/28 (04.09.2022) და გადაგზავნილი იყო ბათუმის რესურსცენტრში შუამდგომლობისთვის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შესათანხმებლად. დაწესებულებაში წესრიგის დაცვას უზრუნველყოფდნენ კლასის დამრიგებლები, 2 უსაფრთხოების ოფიცერი, 6 უსაფრთხოების ოფიცრის დამხმარე კოორდინატორი და ღამის დარაჯი. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლი ხორციელდებოდა ვიდეოკამერებით.
ექსპერტის განცხადებით, ექსპერტთა მხრიდან რეკომენდაციები გაიცა ერთწლიან და ექვსწლიან სამოქმედო გეგმებთან დაკავშირებით, კერძოდ - სკოლას შეემუშავებინა ექვსწლიანი სტრატეგიული განვითარების გრძელვადიანი ფორმა, რომელსაც უნდა მოეცვა გრძელვადიანი მიზნები რომლებიც ჩაშლილი უნდა ყოფილიყო ამოცანებად, შესრულების ინდიკატორებად და გაწერილი ყოფილიყო დროში პასუხისმგებელი პირების მითითებით.
ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა ისაუბრა ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ სკოლაში წარმოდგენილი იყო ყველა რესურსი, რომელიც საჭირო იყო სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვისთვის, სკოლაში პედაგოგთა საერთო რაოდენობა 37-ს შეადგენდა, აქედან უფროსი მასწავლებელი გახლდათ 25, 8 მოწვეული და 4 მაძიებელი. სკოლის ყველა თანამშრომელთან გაფორმებული იყო შრომითი ხელშეკრულება.
ექსპერტმა განიხილა სასკოლო სასწავლო გეგმა და აღნიშნა, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა ქართულ ენაზე, ზოგადი განათლების სამივე საფეხურზე ეროვნული სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისად. სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა ეფუძნებოდა პიროვნების განვითრებაზე ორიენტირებულ კონსტურქტივისტულ საგანმანათლებლო კონცეფციას და განსაზღვრავდა ძირითად საგანმანათლებლო პრინციპებს. საათობრივი ბადე მიჰყვებოდა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ კვირეულ საათობრივ დატვირთვას, თუმცა, დამატებული ჰქონდა დამატებითი საათები პირველ უცხო ენას. სკოლას ჰქონდა არჩევითი საგნებიც ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად.
ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა განაცხადა, რომ მასწავლებელთა პორტფოლიოებში წარმოდგენილი იყო შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებები, მათი განხორციელებული პროექტები და ანალიზი. შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ნაწილში სკოლას მიეცა რჩევა, რომ შემაჯამებელი დავალებების ანალიზის პროცესში დაესახათ კონკრეტულ მოსწავლეზე ორიენტირებული ნაბიჯები და განესაზღვრათ კონკრეტული დავალებები. ექსპერტმა აღნიშნა,

რომ სკოლაში შემუშავებული იყო კითხვარები, რომლებსაც მოსწავლეთა საჭიროებების დასადგენად ხშირად იყენებდნენ. სკოლაში ფუნქციონირებდა თვითმმართველობა, რომელიც აქტიურად იყო ჩართული სასკოლო ცხოვრებაში.
ექსპერტმა ისაუბრა, რომ შეფასების სისტემა სრულიად შეესაბამებოდა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შეფასების სისტემას. ექსპერტის განცხადებით, სკოლა თავისი საქმიანობით ორიენტირებული იყო მოსწავლეზე, ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების განხორციელებასა და ეროვნული სასწავლო გეგმის წარმატებით შესრულებაზე. ექსპერტის განცხადებით, სკოლამ წარმოადგინა მონიტორინგის ანალიზის ანგარიში, რომელიც მოიცავდა 2022-2023 სასწავლო წლის პირველ სემესტრში განხორციელებულ გამოკითხვებსა და გაკვეთილებზე დასწრების შედეგებს. ექსპერტმა განაცხადა, რომ კვლევის შედეგები არ იყო გამოქვეყნებული ვებგვერდზე, რასთან დაკავშირებითაც სკოლას მიეცა რჩევა - ანგარიშები გამოექვეყნებინა ვებგვერდზე, რაც სრულად უზრუნველყოფდა სასკოლო საზოგადოების და ყველა დაინტერესებული პირის სრულ ინფორმირებას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები.
საბჭოს წევრი, ეკატერინე კვირიკაშვილი დაინტერესდა კიბეზე განთავსებული პანდუსით, კერძოდ, რამდენად შეესაბამებოდა კიბისა და პანდუსის პარამეტრები დადგენილ ნორმებს. ასევე, მან დაწესებულებას მისცა რჩევა, რომ სამომავლოდ პანდუსი ყოფილიყო კონტრასტული ფერის.
ექსპერტმა, ქეთი ბოტკოველმა აღნიშნა, რომ პანდუსი ხელს არ უშლიდა მოსწავლეთა და მშობელთა თავისუფალ გადაადგილებას, კიბის ზომიდან გამომდინარე. გარდა ამისა, სკოლა სამომავლოდ გეგმავდა სხვა შენობაში გადასვლას.
საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ ყურადღება გაამახვილა მასწავლებლის თანამდებობრივ ინსტრუქციაზე, რომელშიც იკითხებოდა, რომ სკოლის დირექტორი ნიშნავდა და ათავისუფლებდა მასწავლებელს და დაინტერესდა, მასწავლებლის აყვანის რა ტიპის მექანიზმი იყო სკოლაში და რეალურად როგორი პრაქტიკა ჰქონდა დაწესებულებას.
ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა განმარტა, რომ სკოლა მასწავლებლებს კონკურსის წესით იღებდა, აღნიშნული ჩანაწერი კი ძველი იყო.
საბჭოს წევრმა განაცხადა, რომ სკოლას, რეკომენდირებული იყო, ამოეღო შეცდომაში შემყვანი ჩანაწერი მასწავლებელთა მიღების წესთან დაკავშირებით.
საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა აღნიშნა, რომ მტკიცებულებად წარმოდგენილი ბრძანებები არ შეესაბამებოდა ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსს და დაინტერესდა თუ რატომ იყო გამოცემული ამგვარი ტიპის ბრძანებები სკოლის მხრიდან.
სკოლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნული იყო მექანიკური შეცდომა, რომელიც გამოსწორდებოდა დაწესებულების იურისტის მიერ.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 300 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბათუმის მომავლის სკოლის ავტორიზაციის და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 300-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს ბათუმის მომავლის სკოლას (ს/კ: 445412107) მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 300 - ით. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვროს ქართული ენა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა 15:45 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით





სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა